პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 მაისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 109 (14713)

საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა

მუშინდელივით ახსოვთ ჩვენს ადამიანებს, ოცდახუთი წლის წინათ გამარჯვების აღსანიშნავად ქვეყნების ზალპებმა რომ დაიქუხეს და მთელ მსოფლიოს ამცნეს ისტორიაში თავისი მასშტაბებითა და გრანდიოზულობით არნახული ომის დამთავრება, და წელს, 9 მაისს ოცდამეხუთედ დადგა ეს მარადსახსოვარი დღე, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში ყოველთვის აღდგენს უდიდესი განსაცდელის წუთებს, მწუხარებისა თუ სიხარულის განუმეორებელ მოგონებებს.

ყველასათვის ძვირფასია 9 მაისი, გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების დღე. ძვირფასია იგი იმათთვის, ვინც ჯარისკაცის მუზარადით მძიმე გზა განვლო მოსკოვიდან ბერლინამდე, ვინც ზურგში ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომობდა და იღვწოდა, დღეს და ღამეს ასწორებდა ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის. განსაკუთრებით დაუვიწყარია ეს დღე იმათთვის, ვინც გამარჯვებას შეხვრა ყველაზე საყვარელი, სანუკვარი და ძვირფასი — შვილი, მამა, ძმა თუ მახლობელი.

ის, რაც განიცადეს ჩვენმა ხალხებმა, არასოდეს არ წაიშლება მათს ხსოვნაში, ყოველთვის იქნება სიფხიზლისა და მშვიდობისათვის მზადყოფნის მოსაგონარი.

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა, რომელიც 1.418 დღეს გრძელდებოდა, ჩვენი სახელმწიფოს 20 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ხნის მანძილზე ქვეყანამ დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის 30 პროცენტი. ფრონტი გადაჭიმული იყო ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე და პერიოდულად 3.000-დან 6.200 კილომეტრს აღწევდა.

მიუხედავად ასეთი გრანდიოზული ომის წარმოებისა, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა, განუზომელი რაოდენობით ნოქადა და ანადგურებდა სამხედრო მასალას და მშრომელთა ნაშენებსა და ნამოღვაწარს, ჩვენი სახელმწიფო ომიდან უფრო ძლიერი გამოვიდა, საბჭოთა ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო უფრო შემჭიდროებული და დარაზმული. ამ ომში უფრო მკაფიოდ გამოისახა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე, სოციალისტური სისტემის, ხალხთა ლენინური მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა, მისი უძლეველობა. ამ უძლეველობას ათეული წლების მანძილზე სჭედდა მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა და გამოაწრთო. და როცა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრობამ ამას წინათ ზეიმით აღნიშნა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი, პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანმა უადრესად გულითადი და სიყვარულით აღსავსე სამადლობელი უთხრა ბელადს, მამასა და მასწავლებელს, რომლის იდეებით გაიცისკროვნებულმა ქვეყანამ, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა ადამიანის დეგვმირობამ კაცობრიობას მოაშორეს ფაშისტური მონობის საშიშროება.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების საკურთხეველზე თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის ყველა ერის წარმომადგენლებმა მიიტანეს. მარტო ისეთმა მცირერიცხოვანმა რესპუბლიკამ, როგორიც საქართველოა, სამშობლოს დამცველთა რიგებში 670 ათასზე მეტი შებრძოლი გაგზავნა. ომის მთელ მანძილზე უშუალოდ ფრონტზე ჯარებს 54 ქართველი გენერალი მეთაურობდა. საქართველოდან 136 მეომარმა თაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის სამკერვალო წოდება, ხოლო რაიხსტაგზე ორმა მებრძოლმა გამარჯვების და ომის დამთავრების დროს რომ აღმართა, მათგან ერთი ქართველი იყო — მელიტონ ქანთარია.

მტერზე გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა პარტიზანებმა. სად არ იბრძოდნენ ისინი — უკრაინისა და ბელორუსიის ტყეებში, იტალიისა და საფრანგეთის მთებში, ქართველი პარტიზანები რუს, უკრაინელ და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ფაშიზმის განადგურებისათვის.

ფრონტზე გამარჯვება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად იგებდნენ ზურგში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე. შრომის ფრონტებზე მეუღლეებისა და მამების, ძმებისა და შვილების ადგილებს იკავებდნენ ცოლები, დედები, დები, მოხუცები და მოსწავლეები. ისინი დღედაღამ შრომობდნენ, ფრონტს ეარაღით, ტანსაცმლით, სურსათით ამარაგებდნენ. საქართველოს მშრომელებს თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ თავიანთი პირადი დანაზოგები. ზურგისა და ფრონტის ერთიანობა აახლოებდა მტერზე გამარჯვებას.

ოცდახუთი წელი გავიდა, რაც გამარჯვების პირველი დღე — 9 მაისი ვიზეიმეთ. მას შემდეგ ამ თარიღს აღნიშნავენ ჩვენი ხალხები, სიხარულით აღვსილნი იმის გამო, რაც გაკეთდა ჩვენში, იმ გმირებზე მწუხარებით გამსჭვალულნი ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში დაიღუპა. ხალხის გმირობა უკვდავყოფილია დიდებულ მონუმენტებში და მოკრძალებულ სოფლავებში, რომლებზეც ხოთქმიანი ვარსკვლავია გამოსახული, იმ ქალაქების, სოფლების, მოედნების, ჭუჩების სახელწოდებებში, რომლებსაც გმირთა სახელები მიეკუთვნა. ჩვენი ადამიანების გმირობა ხოტაშესხმულია სიმღერებში, წიგნებში, მოგონებებში. გმირთა გვარები გაისმის სალაშოს შემოწმებისას, მწყობრის წინ სამხედრო ნაწილებში. იმათი უსაზღვრო მამაცობისა და გმირობის მაგალითზე, ვინც შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას, იზრდება ნორჩი თაობა, ახალგაზრდობა. ისინი მამებისა და ძმების მაგალითზე სწავლობენ პატრიოტიზმს, სამშობლოს, ხალხის სიყვარულს.

ამოცანა ის არის, რომ დიდ სამამულო ომში ჩვენი მამებისა და ძმების პატრიოტული თავგანწირვის, სამშობლოსათვის, პარტიისათვის თავდადების მაგალითებს სისტემატურად უნდა ვუშვებდეთ ფართო პროპაგანდას. ეს ერთდროული კამპანია როდია. იგი მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სკოლად უნდა ვაქციოთ. სიყვარულით, მზრუნველობით უნდა ვეკიდებოდეთ სამშობლოს დამცველთა სახელებს, მათს საგმირო საქმეებს.

სამამულო ომში გამარჯვების ხსოვნა წარუშლელად არის ამოკვეთილი ყველას გულში. ამიტომ არის რომ 9 მაისი საერთოხალხური ზეიმის დღეა. იგი ფართოდ აღინიშნა მთელ ჩვენ ქვეყანაში. დიდი ზეიმით აღნიშნეს გამარჯვების დღე საქართველოს მშრომელებმაც. თბილისში, სოხუმში, ბათუმში ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, ყველა ქალაქსა და რაიონში საზოგადოებრიობამ იზეიმა ეს დღე. ყველგან იმართებოდა ომის ვეტერანთა შეხვედრები, შეკრებები, სხდომები. ბევრგან გაიხსნა დიდების ძეგლები.

მრავალმა მშრომელმა — ომისა და შრომის ვეტერანებმა თავიანთი ფიქრები და გრძნობები გამოხატეს წერილებში, საბრძოლო ეპიზოდებში, მოგონებებში. ასეთი სახის დიდძალი მასალა შემოვიდა რედაქციაში ამ დღეებში.

ყველა წერილი, საბრძოლო ეპიზოდი გამსჭვალულია ერთი აზრით, ერთი ფიქრით. განწყობილებით, რომ არ ჩაქრალა იმ ცეცხლოვანი წლების მოგონებანი ადამიანთა გულში, რომ ეს მოგონებანი მოკვიწოდებენ ფხიზლად ვადევნოთ თვალყური იმათ ხრიკებს, ვინაც სურს წაშალოს წარსული. ეს მოგონებანი ისტორიაა, მისი გადაფურცვლით თვალწინ დაგვიდგება მთელი სიდიადე გამარჯვებისა, რომელიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის წინამძღოლობით.

მეგობრული შეხვედრები

8 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ლე ზუანს.

საუბრის დროს, რომელმაც ძმობისა და გულითადობის სულისკვეთებით ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის გაძლიერებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე. განხილეს აგრეთვე საკითხები ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

დარბაზობა ა. ნ. კოსიგინთან

8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. **კოსიგინმა** კრემლში მიიღო საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნული საბჭოს (პატრონატის) პრეზიდენტი პ. **იუველენი**, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების საკითხებზე.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გადაეცათ მაღალი ჯილდოები

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, რომელიც მოსკოვში იმყოფება, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი. (საკდესი).

ლ. შტროუგალი მოსკოვში ჩამოვიდა

10 მაისს საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის — „ჩეხოსლოვაკია-1970“ გახსნაზე მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. **შტროუგალი**. (საკდესი).

◆

ა. ნ. კოსიგინისა და ლ. შტროუგალის შეხვედრა

11 მაისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინისა** და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის **ლუბომირ შტროუგალის** შეხვედრა. ლ. **შტროუგალი**, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციას მეთაურობს, მოსკოვში ჩამოვიდა იმისათვის, რომ გახსნას გამოფენა „ჩეხოსლოვაკია — 1970“.

ა. ნ. **კოსიგინმა** და **ლუბომირ შტროუგალმა** ერთმანეთს გაუზიარეს აზრები 1971-1975 წლებში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებზე.

საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

„ჩეხოსლოვაკია-1970“

მრავალფეროვნებამ საბჭოთა ხალხმა მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავი. განსაკუთრებული მღელვარებით, სიხარულით და ღრმა მადლობის გრძნობით შეხვდა ამ დღესასწაულს ჩეხოსლოვაკიელი ხალხი. 9 მაისს ოცდახუთი წელი შესრულდა ფაშიზმის ბორკილებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების დღიდან, განთავისუფლებისა, რომელიც ჩეხებისა და სლოვაკების გონებასა და გულში სამუდამოდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და მისი არმიის გამარჯვებასთან. 1945 წლის მაისი შემობრუნების პუნქტი გახდა ამ ქვეყნის ისტორიაში. იმ სამახსოვრო დღეების შემდეგ მშრომელმა ხალხმა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მეთაურობს, დაიწყო ახალი ცხოვრების შენება.

განვლილი ოცდაუთვი წლის მანძილზე მოძმე ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში. მოძმე ხალხის მიღწევების, სოციალიზმის მშენებლობაში მისი წარმატებების შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად მოგვითხრობს 11 მაისს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე განხსნილი საიუბილეო გამოფენა „ჩეხოსლოვაკია-1970“, რომელიც საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს ეძღვნება.

საბჭოთა დიდაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი მოვიდა აქ, რათა გასცნობოდა მოძმე ხალხის მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობაში.

საიუბილეო გამოფენის საზეიმო გახსნა

□

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ნ. დემიჩევს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან ერთად არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. მ. რუშკოფიჩი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, თავის გამოსვლაში თქვა: ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებთან ერთად ჩვენ გვახარებს მათი წარმატება. ვფიცი არ გვეპარება, რომ გამოფენა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველაზე, ვინც მოვა მის სანახავად, და რომ საბჭოთა ადამიანები მაღალ შეფასებას მისცემენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მიღწევებს, რომლებსაც იგი ასახავს.

ა. ნ. კოსიგინი მშურვალედ მიესალმა ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს და სულით და გულით უსურვა სოციალისტურ მშენებლობაში წარმატებანი მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხს.

გამოფენა „ჩეხოსლოვაკია-1970“, რომელსაც ჩვენ დღეს ვხსნით, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, არა მარტო გვიჩვენებს იმას, რასაც სოციალისტურმა ჩეხოსლოვაკიამ მიაღწია ამ 25 წლების მანძილზე, არამედ აგრეთვე ცხადყოფს ჩვენი კომუნისტური პარტიის მისწრაფებას ყოველმხრივ განავითაროს ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება.

ამ გამოფენით გვინდა მადლობა ვუძღვნათ ყველა საბჭოთა მეომარს, რომლებმაც 1945 წელს მოგვიტანეს თავისუფლება. აგრეთვე თავიანი ვცეთ იმათ ხსოვნას, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენს თავისუფლებას.

გვინდა საზეიმოდ განვაცხადოთ აქ, თქვა ლ. შტროუგალმა, რომ თვალისჩინეთით გვაფიფრთხილებენით და განვამტკიცებთ მეგობრობასა და მოკავშირეობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რომ თანმიმდევრულად დავიცავთ და განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის მარქსისტულ-ლენინურ ინტერნაციონალურ ხასიათს, მისი ხელმძღვანელობის ერთიანობასა და მის კავშირს ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან.

პავილიონის თაღებქვეშ ყიერის პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

ამხანაგების ა. ნ. კოსიგინისა და ლ. შტროუგალის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს, ხშირად გაისმოდა ტაში. (საკდესი).

ᲓᲔᲙᲐᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

მეჩაიე ნოვატორი

ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, ბევრი სახელოვანი მეჩაიეა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სვეტლანა ნიკოლაოშვილი. მან საშუალო სკოლა დამთავრა თუ არა მაშინათვე ჩაის პლანტაციას მიაშურა. შოსავლელად მიუჩინეს 0,4 ჰექტარი ჩაის ფართობი. სვეტლანამ მალე გაუმართლა იმედები თავის მასწავლებელს სოციალისტური შრომის გმირს დარეჯან ტაკაძეს — ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი მიიღო.

1967 წელს მამაცი მეჩაიე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოეს.

წელს სვეტლანა ნიკოლაოშვილი 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთლისათვის იბრძვის. უკვე მოკრიფა პირველი ასეული კილოგრამები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მახარაძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი სვეტლანა ლავრენტის ასული ნიკოლაოშვილი.

სურათზე: ს. ნიკოლაოშვილი.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა თბილისი, რომელიც 11 მაისს გეიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში. თბილისზე მოიწვიეს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ინფორმაცია იმაზე თუ „როგორ მიმდინარეობს ორგანიზაციული და საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით“, თბილისზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ რ. ვ. მეტრეველმა.

თბილისზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. (საკდესი).

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

11 მაისს თბილისში, ბ. ძნელაძის სახელობის პირნერთა და მოსწავლეთა სასახლეში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, აგრეთვე აგიტკოლექტივების, პოლიტინფორმატორთა ჯგუფების, აგიტპუნქტებისა და ამომრჩეველთა კლუბების მუშამიმავლენი სემინარების ხელმძღვანელთა სამდღიანმა თათბირ-სემინარმა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. გოგიჩაიშვილმა.**

თათბირ-სემინარს მონაწილეობა მოიმეინეს ლექციები პროფესორ **ბ. ლუთიძისა** — „ვ. ი. ლენინ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ“, დოცენტ **ვ. ლორიასი** — „საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები“, საკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორის **ვ. კიტაევისა** — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. დანელიამ.

თათბირზე გამოვიდნენ თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი პ. ბოგდანოვა, საქართველოს სავაჭრო საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი თ. ფოცხიშვილი, გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. დათუაშვილი, მოდელების სახლის მუშაკი ს. შეკიშვილი, დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ლალიაშვილი, ყაზბეგის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე გ. კურკუმელი. მათ შეიტანეს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრისძე ჯავახიშვილი.**

□ დიდი ალმაცევნით ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ.

კომისიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კორხეიძემ.

სხდომაზე გამოსულმა კომისიის წევრებმა, აგრეთვე იმ კოლექტივების წარმომადგენლებმა, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, თავიანთი კოლექტივების დავალებით წინადადება შეიტანეს რეგისტრაციაში გაატარონ იგი დეპუტატობის კანდიდატად.

ერთხმად მიიღეს დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

□ ფოთის საარჩევნო ოლქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ფოთის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურის მეკომფლე თ. ლაბარტყავამ.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. არჩაია, ფოთის ელექტრო მანქანების გამაძლიერებლების ქარხნის მუშა ც. აბურჯანია, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. თოდუა, მახარაძის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი ა. ბერძენიშვილი, რომლებმაც შეიტანეს წინადადება ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრისძე ჯავახიშვილი.**

□ დიდი ალმაცევნით ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრეს-ძე ანჯაფარიძე.**

□ ზუგდიდის საარჩევნო ოლქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ზუგდიდის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად **ალექსანდრეს-ძე ანჯაფარიძის** კანდიდატურის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბასილაშვილმა.

წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის დასახელების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დავითაშვილმა, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ა. ნადაშვილმა, გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ რ. დეკრელაშვილმა და სხვებმა.

კომისიამ ერთსულოვნად დაადგინა: გურჯაანის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე.**

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს **არჩევნების სოხუმის საარჩევნო** ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სოხუმის საარჩევნო ოლქში **ალექსანდრეს-ძე ჯოჯუა.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს **ონის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს **ონის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარონ **ალექსანდრეს-ძე ბოლქვაძე.**

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ხალხის კანდიდატები

(დასასრული)

კანდიდატის რეგისტრაციის საკითხი და დაადგინეს სიონაღის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის სიონაღის რაიკომის პირველი მდივანი **დმიტრი ლეგასნის-ძე გელაშვილი.**

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზესტაფონის საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **გრიგოლ გრიგოლის-ძე აბაშიძე.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს გარდაბნის რაიონის ლოკანის მეფრინველეობის ფაბრიკის მოწინავე მეფრინველე **ნინო ალექსის ასული გოგოჭური.**

□ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ტბილისის ფეხბურთელ-მცველი **ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ბოლოგინი,** რომელიც დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს თბილისის საავიაციო ქარხნისა და თბილისის კერამიკული კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებებზე.

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულია გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონდრის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიე **მაყვალა მელიტონის ასული ნაჭყებია.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის საარჩევნო ოლქში ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეხილის **ნანული ვასილის ასული მამესწარაშვილის** რეგისტრაციაში გატარების შესახებ დადგენილება ერთხმად მიიღეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მახარაძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რაზოლის ხელმძღვანელი **სვეტლანა ლავრენტის ასული ნიკოლაიშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თელავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის" ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი **მერი გიორგის ასული მპედლიშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქში საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ამბერკაჟანის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **სიმონ კონსტანტინეს-ძე კურკოტკინი.**

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების საკითხი. კომისიამ დაადგინა ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე დურსუნის-ძე თხილაიშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შუახევის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლევან მიხეილის-ძე დავითაძე.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გატარების საკითხი. კომისიამ დაადგინა ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი.**

□ ბორჯომის საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ვლადიმერ ქსენოფონტეს-ძე სიტნინი.**

□ გაიმართა ახალქალაქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ახალქალაქის რაიონის სოფელ ღოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ეღიშ აშოტის-ძე მურადიანი.**

□ სხდომა მოაწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ახალციხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ. აქ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ნიკოლოზ ივანეს-ძე სავინენი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა გურჯაანის რაიონის სოფელ გიგლეანების კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ნოდარ ილიას-ძე ძამუაშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ძალოვანი ერთეულის მშენებლობის ძალოვანი ერთეულის მოწინავე ავტომბეგამყვანი **შუქრი მიხეილის-ძე აბაკელია.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მცხეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სახმელეთო ძალების მთავარსარდალი არმიის გენერალი **ივანე გიორგის-ძე პავლოვსკი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ღომსკომის თავმჯდომარე **კოსტა კარგოს-ძე ჯიოევი.**

□ ბორჯომის საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ვლადიმერ ქსენოფონტეს-ძე სიტნინი.**

□ გაიმართა ახალქალაქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ახალქალაქის რაიონის სოფელ ღოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ეღიშ აშოტის-ძე მურადიანი.**

□ სხდომა მოაწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ახალციხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ. აქ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ნიკოლოზ ივანეს-ძე სავინენი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზესტაფონის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ზესტაფონის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობა „მოწინავის" ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი **მერი გიორგის ასული მპედლიშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქში საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ამბერკაჟანის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **სიმონ კონსტანტინეს-ძე კურკოტკინი.**

□ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების საკითხი. კომისიამ დადგინა ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზესტაფონის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ზესტაფონის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობა „მოწინავის" ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი **მერი გიორგის ასული მპედლიშვილი.**

□ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ენგურჰესის მშენებლები. ხუთწლედის ბოლო, საიუბილეო წელმა მშენებელთა შრომაში გარდატეხა შეტანა. ყოველი დღე ახალ-ახალი გმირული მიღწევებით აღინიშნება. ადამიანები სასწაულებს ახდენენ მიწიხქვეშ, მშენებლობის ხარაჩოებზე, მანქანის ხაჯესთან.

მიმდინარე წელს ენგურჰესელები ბეტონის დიდი სამუშაოების დაწყების წელს უწოდებენ. წლის ბოლოს უნიკალური კაშხალის საძირკველში ჩაიხსნება პირველი კუბური მეტრი ჰიდროტექნიკური ბეტონი. ვარდნილეს № 1-ში დამთავრდება ძირითადი სამუშაოები. ამგვარად, ეს წელი ბევრი სიახლის წელი იქნება.

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა კაშხალის ქვაბულის დამუშავება. მწყობრში დგება ახალი ობიექტები; ამ დღეებში ამოქმედდა ცემენტის ქარხნის ელევატორის პირველი რიგი, რომლის ტევადობა 4 ათასი ტონა ცემენტია. მუშაობა დაიწყეს ე. წ. ჰიდრომონიტორებმა, რომლებიც წყლის ძლიერი ჭავლით რეცხავენ კაშხალის „დაკიდულ ქვებს", საფრთხეს რომ უქმნიდნენ ქვაბულში მომუშავე ადამიანებს. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუდმივმოქმედი ბეტონის ქარხნისა და საბაგირო გზის მშენებლობა...

და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ასეთი სამუშაო სრულდება დღეს ენგურზე. პირველი და მეორეხარისხოვანი სამუშაო აქ არ არსებობს.

— ენგურჰესელთა კოლექტივი დღეს ერთი მიზნით ცხოვრობს, რომ ვადაზე ადრე გადაეცეს საექსპლოატაციოდ ეს დიდმნიშვნელოვანი ობიექტი, — თქვა ჩვენთან საუბარში ენგურჰესის მშენებლობის უფროსმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ესაკიამ. — სწორედ ერთსულოვნებამ განაპირობა ის, რომ საიუბილეო თვე — აპრილი მშენებლებმა მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს და ოთხი თვის გეგმა ჯერ კიდევ 20 აპრილისათვის გაანაღდეს. შესრულებულია 14 მილიონ 576 ათასი მანეთის სამუშაოები ნაცვლად 11 მილიონ 325 ათასი მანეთის სამუშაოებისა.

აპრილში წარმატებით იშრომეს კაშხალმშენის (უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ებრალიძე), გვირაბმშენის (უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. წულეისკირი), ძალოვანი კვანძის (უფროსი აკ. ცნობილაძე), ვარდნილ ჰ ე ს ი ს (უფროსი თ. ჩუბინიძე), მექანიზებულ სამუშაოთა (უფროსი ალ. დიაკოვი), სიიუზლიფტის (უფროსი ა. გიორგობიანი) სამმართველოების კოლექტივებმა.

ოთხი თვის განმავლობაში ჩასხმულია 138 ათას 128 კუბური მეტრი ჰიდროტექნიკური ბეტონი, მაშინ როცა 1969 წლის ამავე პერიოდში მხოლოდ 96 ათას 650 კუბური მეტრი ბეტონი ჩაისხა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბეტონის სამუშაოთა ტემპმა ერთიორად იმატა.

მაღალ წარმატებებს მიაღწიეს ზეინკალთა, მბურღავთა, მებეტონეთა, გვირაბგამყვანთა, მეყალიბეთა ბრიგადებმა, რომლებსაც ს. კიტაძე, ი. ასლამაზოვი, მ. ლომთათიძე, ბ. ფოფხაძე, ო. ბობოხიძე, ი. გელაშვილი, კ. ფოფია, კ. წიკლაური და სხვ. უძღვებიან. ეს ბრიგადები ახლა ივნისის ანგარიშში შრომობენ.

დროს დიდად გაუსწრეს მბურღავმა ო. ხილაგაძემ, კლდეზე მცოცავებმა ჯ. ბურჯალიანმა, რ. გვინიანმა, მებეტონეებმა პავლე და რაფდენ თვარაძეებმა, ამფეთქებელმა ვ. შალამბერიძემ, მძღოლებმა გ. წიკრიძემ, შ. ჭურხულმა, გ. ჯინჭარაძემ, ბ. გალდავამ, მ. კეზუამ, რ. ვართაგავამ და სხვ.

შრომის ტემპი ენგურზე დღითიდღე იზრდება. იბადებიან ახალი ნოვატორები, რეკორდსმენები, თაოსნები. ყველფერი კეთდება იმისათვის, რომ ჰიდროშენებელთა სიამაყე — ენგურჰესი ვადაზე ადრე ამუშავდეს.

ლ. ბარძაია,

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

□ □

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

□ □ □

მწყობრში დგება ახალი ობიექტები

● ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ 20 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲐᲦᲓᲔᲡ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 14 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 576 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲘ 11 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 325 ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

● ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲢᲔᲕᲐᲓᲝᲑᲐ 4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲐ.

● ᲬᲧᲚᲘᲡ ᲙᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲚᲘᲗ ᲘᲠᲔᲪᲮᲔᲑᲐ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲘᲡ „ᲓᲐᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲑᲘ", ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲥᲛᲜᲘᲓᲜᲔᲜ ᲥᲕᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲘᲛᲝᲗ—ᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲡᲗᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲬᲘᲜᲐᲕᲘ № 4 ᲣᲑᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Რ. ᲧᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲓᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲝᲠᲨᲘᲪ ᲐᲘᲜᲗᲝ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). მ მაისს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის ბაღში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გორში ბუნებრივი გაზის გაყვანას. აქ მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, ინტელიგენციის, მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ბერიანიძემ. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ბარძიმოვი. მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს ქალაქ გორის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. გამსახურდიამ, გაზის მაგისტრალის მშენებელმა რ. ხაჩიძემ, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშამ თ. ცალაზმა, დიასახლისმა ლ. ონგებაშვილმა, ქალაქ გორის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. გასიტაშვილმა, წვენების ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. ჭიოლაძემ.

ლენტს ჭრის შ. ბერიანიძე და გ. ბარძიმოვთან ერთად ანთებს ბუნებრივ გაზს.

ქალაქ გორში ბუნებრივი გაზის გასაყვანად ორი წლის განმავლობაში დიდი და სერიოზული მუშაობა გასწია „მთავარგაზის" სამონტაჟო ტრესტის (მმართველი შ. შაგლაყაძე, მთავარი ინჟინერი ლ. ბეგეშიძე) კოლექტივმა. ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს ბურღვითვე გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს № 4 ტრესტის (მმართველი გ. კაკალაშვილი, მთავარი ინჟინერი ა. შავლიაშვილი), გაზის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს ტრესტ „სოიუზგაზსპეცსტროის" № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოსი და ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის საგურამოს სამმართველოს კოლექტივებმა.

მშენებლების დაუღალავმა მარჯვენამ დიდი სიკეთე მოუტანა ქალაქ გორის მშრომელებს. მაღალ ცისფერი ალი აკიაფდება ოჯახებში, საწარმო-დაწესებულებები საწვავად ბუნებრივ გაზს გამოიყენებენ.

მშენებლებმა ეს საჩუქარი ფაშისტურ ჯარმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს მიუძღვნეს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

რამდენიმე დღეს იყო რესპუბლიკაში იტალიის კოოპერატორთა ეროვნული ლიგის დელეგაცია ლიგის პრეზიდენტის სილვიო მიანას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ლიგის პრეზიდიუმის საბჭოს წევრი და საწარმოო და მუშათა კოოპერატივების ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე ივანო კურტი, ლიგის ხელმძღვანელობის კომიტეტის წევრი, საერთაშორისო განყოფილების უფროსი არქანჯელო ვალი.

იტალიელი კოოპერატორები მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. აქ დელეგაციის წევრები შეხვდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს რ. ი. ფრუთიეს. გულთბილი მეგობრული საუბრის დროს მან გააცნო სტუმრებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა.

იტალიის კოოპერატორთა ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა სილვიო მიანამ, შეაჯამა რა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი, ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის აყვავება მოწმობს, თუ რა წარმატებები შეიძლება მოიპოვოს ხალხმა სოციალისტური წყობილების დროს.

ჩვენ ვიცით, თქვა შემდეგ სილვიო მიანამ, რა განსაცდელი გადიტანეს საბჭოთა ადამიანებმა, რამდენი მსხვერპლი გაიღეს თავიანთი ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, და ამიტომ განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას იწვევს მათი გამარჯვებები, შესანიშნავი მიღწევები ცხოვრების ყველა დარგში,

იტალიელ კოოპერატორთა ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დელეგაცია სსრ კავშირში ჩამოვიდა, რათა კიდევ უფრო გააღრმავოს თანამშრომლობა საბჭოთა კოოპერატორებთან. ჩვენი ვიზიტი საქართველოში ამ მხრივ სასარგებლო და ნაყოფიერი იყო, — თქვა მან.

საუბარს დაესწრნენ „ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ი. სუბოტნიცკი, რომელიც დელეგაციას ახლავს მოგზაურობის დროს, საქართველოს სს რესპუბლიკის სამოხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის თავმჯდომარე ნ. ს. ჯავახიძე, ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილენი შ. გ. წულაია, ნ. ა. ქებაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობისა და ფინანსთა განყოფილების გამგე ბ. ა. კობახიძე.

სტუმრებმა დათვალიერეს კოოპერატორთა სახლის მშენებლობა თბილისში, ახალი საავჭრო ცენტრი დუშეთის რაიონის სოფელ მაღარასკარში, ცეკავშირის მაღაზიები და უნივერსალური მაღაზიები კახეთში.

კვირას, 10 მაისს იტალიის კოოპერატორები მოსკოვს გაემგზავრნენ.

(საქდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲐᲗᲘ, 12 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1970 Წ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Მ. ᲚᲐᲒᲐᲮᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არქიპო მირონის-ძე ლაბახუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲩᲘᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲘᲐᲤᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,

1970 წლის 8 მაისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ვ. Გ. ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან გრიგოლის-ძე **რევაზიშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲩᲘᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲕᲘᲐᲤᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,

1970 წლის 8 მაისი.

მსოფლიო დღეს

თავისუფლების დიდი ზეიმი

მსოფლიოს ხალხებმა აღნიშნეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი

ვარშავა. (საკდესი). კიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების სახალხო პოლონეთმა აღნიშნა როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. გაზაფხულის ყვავილების ათასობით გვირგვინთა და თაიგულით შემკულ საბჭოთა და პოლონელი მეომრების საფლავები, განსათავისუფლებელი გმირების ძეგლთა კვარცხლბეკები.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნების შეღერების ხმებში ვარშავაში გვირგვინებით შეამკეს დიდების ობელისკი საბჭოთა მეომრების მავზოლეუმ-სასაფლაოზე, სადაც განისვენებს საბჭოთა არმიის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ვარშავისათვის ბრძოლებს.

ქვემო სილეზიის ცენტრში — ეროცლავში მოეწყო რესპუბლიკის საზოგადოების წარმომადგენელთა ცენტრალური საზეიმო კრება. კრებაში მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მ. სპიხალსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სრულიად პოლონეთის ხალხის ერთობის ფრონტის კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სხვა ხელმძღვანელები.

საზეიმო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა ვ. გომულკამ.

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი. საუბრელი თარიღს მიეძღვნა საზეიმო კრება სოფიასა და სხვა ქალაქებში.

ვიზოვის სახელობის სახალხო თეატრის დარბაზში საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ სოფიის საზოგადოებრიობის წარმომადგენელები, ბულგარეთის სახალხო არმიის მეომრები, ყოფილი პარტიზანები, ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვეტერანები. პრეზიდიუმში იყვნენ სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტრაიკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ბოიანოვი, ფაშისტურ ბანდიტებთან ბრძოლის ვეტერანი ბ. ბოიანოვი, ბულგარეთის ეროვნული ოლიმპიადის ჩემპიონი, ფეხბურთელი ბ. ბ. ბ.

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოგონება!

ქალი-მებრძოლი

დიდი სამამულო ომის მონაწილე ქალების, ომში დაღუპული გმირების დედებისა და მეუღლეების პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე



ეს ჩვენი სახელოვანი, მამაცი, საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, დიდი სამამულო ომის მონაწილე ქალები, ისინი, რომლებმაც დიდი წვალელი შეიტანეს გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებაში. აქ არიან ბრძოლის ვეტერანები, მედიცინის სამსახურის გვარდიის მაიორი, მწერალი თინათინ დონქაშვილი, ყირიმის პარტიზანი ტატიანა სერებრიაკოვა, სევასტოპოლის ბრძოლების მონაწილე, საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე, უფროსი ლეიტენანტი ქეთევან ხომერიკი, სამამულო ომის მონაწილეები — ექიმები თამარ ჩაჩანიძე, ქეთევან ქათამაძე, კომკავშირის საგზურით გაწვეული რაისა ოდიკაძე, მერი მოლოდინაშვილი, ნათელა ქინქლაძე, რუსუდან დეკაშვილი და სხვები.

უნდა გენახათ ამ თმამეერცხლილი ადამიანების შეხვედრა. ზოგიერთ მათგანს ომის შემდეგ აღარ ენახათ ერთმანეთი, შეცვლილან, ვეღარ სცნობენ თანამებრძოლებს, აღელვებულნი, თვალცრემლიანები ეხვევიან, გულშიჩამწვდომად ჰყვებიან ფრონტულ თუ შემდეგდროინდელ ამბებს. როგორ გამოცვლილხარ! გახსოვს? იგი არ დაბერუნებულა, გესმის. ყველა მხრიდან. უცქერი და. უსმენ ყოველივე ამას, და ვერ დაგიჯერებია, რომ ეს ის ქალები არიან, რომლებიც მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ, არ უშინდებოდნენ თავით ფეხთამდე შეიარაღებულ მტერს.

თბილისის ოფიცერთა სახლში, სადაც მეგობრობის კოცონი ენთო, დიდი სამამულო ომის მონაწილე ქალთა, ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირების დედათა და მეუღლეთა პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 25 წლისთავს მიეძღვნა, გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა, ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ვასაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ და შეკრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა ქალების თავმჯდომარის მოადგილე ზ. ფეოფოროვა, საბჭოთა კავშირის გმირის შ. გამცემლიძის დედა, პედაგოგი ნ. გამცემლიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ფ. სტეპანენკო, ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის ექიმი გ. ჯაში, საქართველოს სსრ. მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი ქალი ე. ყიგულენკო, სამხრეთამერიკელი სტუმარი პროფესორი სირიო, ყურანელ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მ. ბარათაშვილი, ქალაქ ცხინვალის აფთიაქის გამგე, დიდი სამამულო ომის მონაწილე თ. ალბოროვა, პოეტი მ. ფოცხიშვილი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაკაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. გოგოხია, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

შეკრებაზე წუთიერი დუმილით პატივი სცეს შინმოუსვლელთა ხსოვნას. წაკითხულ იქნა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის, კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას მისალმება. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა ქალისადმი.

შეკრებაზე გამოცხადდა შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ ქალთა საბჭოები. ყიურის თავმჯდომარემ ნ. ტვანიამ მათ გადასცა სიგელები, სიგელები და ვიმპელები.

შეკრების მონაწილეებმა დაესწრნენ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პარკში გამოფენის „თბილისელები დიდ სამამულო ომში“ გახსნას, ეარეთვე ძმათა სასაფლაოს გახსნას კუკიაზე, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ვაკის პარკში, თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე, ინახულეს საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, სვეტიცხოველი, ჯვარი.

ხელოვნების მუშაკთა სახლში მათთვის მოეწყო დიდი კონცერტი.

Ე. მამალაძე.

ქართულ მიწაში ჰპოვეს სავანე

გაიხსნა საბჭოთა მეომრების მემორიალი

□

კვეთილ ნიკოლოზ ტიხონოვის სიტყვებს:

სხვადასხვა ერის იყვნენ შვილები,
ბრძოლის ველს ასხოვს მათი
გმირობა,
ქართულ მიწაში სძინავთ დიდებით
უკვდავ სახელებს, მებრძოლთა
ძმობას.

მებრძოლთა ძმობა! სწორედ ამ ძმობამ მოუტანა გამარჯვება ჩვენს ქვეყანას. და დღეს ქართულ მიწაზე, იქ, სადაც განისვენებენ მეომარი ძმები, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ეროვნების ადამიანები, დადგმულია 15 ბაზალტის ქვა. თვითეული მათგანი ეძღვნება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოძმე რესპუბლიკის მეომრებს. ეს ქვები გარს აკრავს მეომრიალურ კედელს, რომელზეც მარადიული ცეცხლი ზნთია. მარცხნივ სვეტია. იგი აღმართულია ქედუხრელობის სიმბოლოდ, გვერდით კი მგლოვიარე საბჭოთა დედაა. ფიგურა ქვისგანაა გამოკვეთილი, მაგრამ დედის თვალები ცოცხალივით შესცქერის და ეალერსება საბჭოთა ხალხის ყველა შვილს, ყველას, ვინც განისვენებს ქართულ მიწაში.

დღის 2 საათია. მემორიალთან იკრიბება ხალხი. აქ არიან ძველი მეომრებიც, საბჭოთა კავშირის გმირებიც, უოფილი პარტიზანებიც, ქალებიც — დიდი სამამულო ომის მონაწილენი. და დედები! დედები, რომლებმაც შვილები დაკარგეს, დედები, რომლებმაც არ იციან თავიანთი შვილების საფლავის გზა, ჯერ ისევ ელიან თავიანთ შევარდნებს.

იწყება მიტინგი. მიტინგს ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ფვანია. ზედიზედ გამოდიან მიტინგზე თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, პოეტი მ. ფოცხიშვილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკი თ. ყელენტი, საბრძოლო მომზადების წარჩინებული, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის სერჟანტი ა. პროხოროვი, ე. კაპანაძე — დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული მფრინავის თარ კაპანაძის დედა, პიონერები და მოსწავლეები.

ეს ჩვენი ქალაქისათვის დიდი სიხარეია, — თქვა ე. კაპანაძემ. და განსაკუთრებით ჩვენთვის, დედებისათვის.

საზეიმოდ ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

მარადიულ ცეცხლს ანთებენ საბჭოთა კავშირის გმირები დ. ბაქრაძე და დ. ჯაბიე, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე.

ძმათა სასაფლაოზე 1600 კაცია. 1600 ვარდი — სიჭაბუკისა და სილამაზის ეს სიმბოლო მოიტანეს თბილისელებმა მეომართა საფლავებზე, რომლებიც მარად ჭაბუკებად დარჩნენ.

ყვავილები და გულთბილი დიმილი, გლოვის ცრემლები თუ სიამაყე თავისი ხალხისათვის, — ყოველივე ეს ამ დღეს მოწმობდა მხოლოდ ერთს — თქვენ შეასრულეთ წმიდათაწმიდა საქმე, შეგიძლიათ იამინთ მშვიდად. თქვენი ხალხი არ დაუშვებს ახალ ომს, ახალ ძმათა სასაფლაოებს!.

ლ. გაგუა,
(საქდესის კორ.).

სურათზე: საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოს, მეომრიალის საზეიმო გახსნა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

უკვდავი სახელები

9 მაისია. ჩახჩახა მზე დაპნაოის საზეიმოდ მორთულ თბილისის ქუჩებს. გაზაფხულის ნიავი ნაზად ელამუნება ალისფერ დროშებს, ტრანსპარანტებს. თბილისის ოფიცერთა სახლთან ყოფილ პარტიზანებს მოუყრიათ თავი. აქ არიან ისინი, რომლებიც რუს, უკრაინელ, ბელორუს ძმებთან ერთად იბრძოდნენ მტრის ზურგში, საბჭოთა მეომრის ღირსებას იცავდნენ ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში, იტალიასა და საფრანგეთში. ქართველ პარტიზანებს ვვირდში ამოსდგომიან მომმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. იდონენენ ერთად ბატარეებულ დღეებს, იხსენებენ ბრძოლის ეპიზოდებს..

დღის 12 საათია. პარტიზანები მიდიან ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნისაკენ. აქ მათ ვვირგვინებით შეამკეს რევოლუციის დიდი ბელადის ძეგლი. შემდეგ პარტიზანთა კოლონა კუკიის სასაფლაოსკენ მიემართება.

ძმათა სასაფლაოს მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილ თბილისის მშრომელთა მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ფვანია. ზედიზედ გამოდიან მიტინგზე თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, პოეტი მ. ფოცხიშვილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკი თ. ყელენტი, საბრძოლო მომზადების წარჩინებული, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის სერჟანტი ა. პროხოროვი, ე. კაპანაძე — დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული მფრინავის თარ კაპანაძის დედა, პიონერები და მოსწავლეები.

ეს ჩვენი ქალაქისათვის დიდი სიხარეია, — თქვა ე. კაპანაძემ. და განსაკუთრებით ჩვენთვის, დედებისათვის.

საზეიმოდ ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

მარადიულ ცეცხლს ანთებენ საბჭოთა კავშირის გმირები დ. ბაქრაძე და დ. ჯაბიე, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე.

ძმათა სასაფლაოზე 1600 კაცია. 1600 ვარდი — სიჭაბუკისა და სილამაზის ეს სიმბოლო მოიტანეს თბილისელებმა მეომართა საფლავებზე, რომლებიც მარად ჭაბუკებად დარჩნენ.

ყვავილები და გულთბილი დიმილი, გლოვის ცრემლები თუ სიამაყე თავისი ხალხისათვის, — ყოველივე ეს ამ დღეს მოწმობდა მხოლოდ ერთს — თქვენ შეასრულეთ წმიდათაწმიდა საქმე, შეგიძლიათ იამინთ მშვიდად. თქვენი ხალხი არ დაუშვებს ახალ ომს, ახალ ძმათა სასაფლაოებს!.

ლ. გაგუა,
(საქდესის კორ.).

სურათზე: საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოს, მეომრიალის საზეიმო გახსნა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ომმართა ხსოვნის პატივსაცემად.

იმავე დღეს ქართველი პარტიზანები შეიკრიბნენ ლისის ტბის მიდამოებში, პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ვის არ ნახავდით აქ — ქართველს, რუსს, უკრაინელს, ხომეხს, აზერბაიჯანელს. მათ ყველას ერთი გრძნობა — საბრძოლო მეგობრობა აერთიანებს. აი სახელოვანი ქართველი პარტიზანი ვ. ძნელაძე, რომელსაც ვვირდში ამოსდგომია

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — ლუბლინის სავოევოდოს პარტიზანთა შეხვედრა ქართველ პარტიზანებთან (მარცხნიდან): ა. ჩხაიძეს, ვ. ძნელაძეს, ნ. გიორგაძეს, დ. ბაქრაძეს, შ. ბაბუნაშვილს, კ. ბუნერიძეს. მარჯვნივ — პარტიზანული კოცონი ლისის ტბაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბ. ჯ. ყუფუნია

ბ. ყუფუნია დაიბადა 1924 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში, მშობლების, განსაკუთრებით კი დედის— სოფლის მეურნეობის ცნობილი ნოვატორის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას მაგალითითა და შთაგონებით მას ბავშვობიდანვე დაეკვა შრომის დიდი სიყვარული. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში.

1940 წლიდან იყო ლენინური კომკავშირის წევრი, ხოლო 1947 წლიდან—სკკპ წევრი.

1943 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1948 წლიდან მუშაობა დაიწყო ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ტრავმატოლოგად.

მისი ინიციატივით რაიონულ საავადმყოფოს ჯერ გამოეყო ტრავმატოლოგიური კაბინეტი, ხოლო 1959 წელს შეიქმნა სარაიონთაშორისო ტრავმატოლოგიური განყოფილება, რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ედგა სათავეში.

ბ. ყუფუნია პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას. მას არ დასცალდა საბარო განხილვაზე გაეტანა ოცეი დასრულებული საკანდიდატო შრომა. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებისა და ყრილობების მუშაობაში, სადაც საინტერესო რეფერატებითა და მოხსენებებით გამოდიოდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია ტრავმატოლოგიური ინსტიტუტის შრომებში.

ბ. ყუფუნია აქტიურად მონაწილეობდა მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, დაჯილდოებული იყო მედლებით. სიგელებით და სამკერდე ნიშნით „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანი“.

სპეტაკი კომუნისტის და შესანიშნავი მკურნალის ბონდო ყუფუნიას ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„პრავდის“ კროსის ფინალი

დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა შაბათს მოსკოვის ჰიპოდრომზე. აქ შედგა გაზეთ „პრავდის“ მძლეოსნური კროსის ფინალი.

სეირთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ის გუნდმა, რომელმაც მერვეჯერ მოიპოვა მთავარი პრიზი. მომდევნო ხუთი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს — უკრაინის, მოსკოვის, ლატვიის, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მეთხუთმეტე ადგილზე აღმოჩნდნენ.

17-18 წლის ქალიშვილთათვის 1.000 მეტრზე კროსში წარმატება ხვდა ო. დეირნას (რსფსრ), 19-20 წლის ქალიშვილთათვის 1.500 მეტრზე რბენაში — ტ. კაზაჩკოვას (რსფსრ). 20 წლის ზევით ქალთათვის კროსში 2.000 მეტრზე —ლ. ბრაგინას (რსფსრ), 35 წლის ზევით ქალთათვის 1.000 მეტრზე რბენაში მ. ივანოვას (ლენინგრადი).

17-18 წლის ჭაბუკთა შორის 3.000 მეტრზე კროსში გაიმარჯვა ი. კორჩენკოვმა (უკრაინა), 19-20 წლის ჭაბუკთა შორის 5.000 მეტრზე რბენაში — ს. პადერინმა (მოლდაეთი), 20 წლის ზევით ვეტერანთა 8.000 მეტრზე კროსში — ვ. ალანოვმა (რსფსრ), 45 წლის ზევით მამაკაცთათვის 3.000 მეტრზე რბენაში —ვ. უდუტმა (ტომსკი).

ტურნირი ვიტებსკში

ვიტებსკი. 11 მაისი. (სპეც. კორ.). აქ დაიწყო საკავშირო პიონეროლების ნახევარფინალური ტურნირი ჭადრაკში ვეტერანთა. მონაწილეობს 18 მოჭადრაკე. მათ შორის არიან ცნობილი ოსტატები მიკენასი (ლიტვა), კუბრეიჩიკი და კაპინგუტი (ბელორუსია), ბაგიროვი (აზერბაიჯანი), ეტრუკი (ესტონეთი), პეტკევიჩი (ლატვია) და სხვები. ფინალში გადის ორი მოჭადრაკე. ჩვენი რესპუბლიკიდან ნახევარფინალში მონაწილეობენ უმილავა და ჩეჩელაანი.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია კაპეწგუტი, რომელსაც 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ფინალისტები ემზადებიან

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილენი ემზადებიან მექსიკის დიდი ასპარეზობისათვის, მართავენ უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრებს.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ლუქსემბურგში დაამარცხა ადგილობრივი გუნდი 1:0. ბულგარეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე მოუგო ჩეხოსლოვაკიის საკლუბო გუნდს „ტესლიცას“ 4:2. მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 2:1.

ნვრთნა გაფრენის დღეს

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა, რომლებიც ბულგარეთიდან დაბრუნდნენ, უკანასკნელი წვრთნა გამართეს მოსკოვში 10 მაისს დილით, ხოლო ნაშუადღევს მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ. მათი გზა მეხიკოში გადის კოლუმბიასა და ეკვადორზე, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

შეფასა რა მზადების ევროპის უკანასკნელი ეტაპის შედეგები (წვრთნა და ოთხი შეხვედრა ბულგარეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში), გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. დ. კარალინმა საკლუბის კორესპონდენტებს უთხრა: არავითარი პრეტენზია არა მაქვს მთავარი კანდიდატებისადმი — ოცდაორი მოთამაშისადმი, რომლებიც ამ ორკვირიან ტურნირში მონაწილეობდნენ.

— განსაკუთრებით სასიამოვნო იყო წვრთნა და თამაში ბელმეკენში — ბულგარელ სპორტსმენთა მაღალმთიან ოლიმპიურ ბაზაზე. მასპინძლებმა გულითადი ზრუნვა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ.

უნდა ითქვას, რომ მაღალმთიანეთი, სადაც გუნდებს მოუწევთ მსოფლიოს პირველობაზე თამაში, ჯერჯერობით განსაკუთრებით არ მაღელვებს. ჩვენი გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე გამოვა კოლუმბიაში, სადაც სტადიონი განლაგებულია ზღვის დონედან თითქმის ორჯერ უფრო მაღლა, ვიდრე „აცტეკი“. სპეციალისტთა აზრით, და მეც ვეთანხმები მათ, მაღალმთიანეთიდან „დაშვება“ დადებითად იმოქმედებს მეხიკოში სპორტსმენთა აკლიმატიზაციაზე.

— ყველა ჩვენი ფეხბურთელი თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს. მართალია, უკანასკნელი გამოსვლების დროს საზღვარგარეთ თავი იჩინა ძველმა ტრავმებმა. კერძოდ, მხედველობაში მყავს ასათიანი, ხუროლავა და პაპაევი, რომლებიც ტრავმირებული იყვნენ შეხვედრებში ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

მაგრამ გუნდის ექიმის აზრით, ყველანი მწყობრში ჩადგებიან ტურნირის დაწყებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა 23 მაისამდე კორექტივი შევიტანოთ შემადგენლობაში, და საჭიროების შემთხვევაში, გამოვიძახოთ მეხიკოში, სადაც ჩვენ 19 მაისს უნდა ჩავიდეთ, რომელიმე მოთამაშე იმ თვრამეტი ფეხბურთელიდან, რომლებიც შეტანილი არიან წინასწარ განაცხადში, მაგრამ შინ დარჩნენ. აი ვინ გაფრინდა 10 მაისს საღამოს სამხრეთ ამერიკაში: მეკარეები — ანზორ კავაზაშვილი და ევგენი რუდაკოვი; მცველები — რევაზ ძოძუაშვილი, ალბერტ შესტერნიოვი, ვლადიმერ კაპლინჩინი, ევგენი ლოვჩევი, გენადი ლოგოფეტი, ვალენტინ აფონინი, მურთაზ ხურცილავა და ვალერი ზიკოვი; ნახევარმცველები — ვიქტორ სერებრიანიკოვი, ვლადიმერ მუნტიანი, კახი ასათიანი, ნიკოლოზ კისელიოფი და ვიქტორ პაპაევი; თავდამსხმელები — ანატოლი ბიშოვეცი, ანატოლი პუზაჩი, გივი ნოდია, სლავა მეტრეველი, ვიტალი ხმელნიცკი, ვლადიმერ პარკუიანი და გენადი ევრიუჟიხინი. (საკდესი).

სსრ კავშირის თასზე

ერთადერთი გოლი

მრავალი მაყურებელი ჰყავდა შაბათს თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ მეთექვსმეტედფინალური მატჩს ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

პირველი ნახევარი ნაკლებად საინტერესო გამოდგა. ზეტოქვეებს ბურთი არ გაუტანიათ. მეორე ტაიმში წვიმდა, მაგრამ თამაში გამოცოცხლდა. ინიციატივას დინამოელები ფლობდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. მე-80 წუთზე ბურთი ლ. ნოდიამ გაიტანა. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, დინამოელებმა მოიგეს მატჩი 1:0.

ეი გუნდების შემადგენლობა: „დინამო“ — სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ვ. ჭელიძე, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, მჭედლიშვილი, გავაშელი, ლ. ნოდია; „ლოკომოტივი“ — ბერიძე, გოგიჯანაშვილი (მირიანაშვილი), პანოვი, ჭელეხიძე, შხვაცაია, ძაგანია, ჭოლაძე, ბახტაძე (ყიფიანი), საფაროვი, ხუციშვილი, მ. ჭელიძე.

□

მატჩები და შედეგები

9 და 10 მაისს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში.

9 მაისს ქუთაისის ტორპედოელებმა მოსკოვში დაამარცხეს ადგილობრივი „ლოკომოტივი“ 2:1. შაბათის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ვლადივოსტოკის „ლუჩი“ — ლენინგრადის „ზენიტი“ 0:2, მინსკის „დინამო“ — ოშკაროლას „სპარტაკი“ 1:0, დუშანბეს „პამირი“ — ერევნის „არარატი“ 3:2, დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი — ტერნოპოლის „ავანგარდი“ 1:0, ოდესის „ჩერნომორეცი“ — ლიპეცკის „მეტალურგი“ 2:2, ვილნიუსის „ჟალგირისი“ — დონეცკის „შახტიორი“ 1:1, ტულის „მეტალურგი“ — ტაშკენტის „პახტაკორი“ 0:0, ხარკოვის „მეტალისტი“ — მოსკოვის „ტორპედო“ 0:0, სიმფეროპოლის „ტავრია“ — კიევის „დინამო“ 1:2, ფერგანას „ნეფტიანიკი“ — ცსკა 0:3, ორჯონიკიძის „სპარტაკი“ —ვოროშილოვგრადის „ზარია“ 1:2, „კაირატი“ (ალმა-ატა) — „ნეფტჩი“ (ბაქო) 0:0.

კვირას მოსკოვის დინამოელები საკუთარ მოედანზე შეხვდნენ ეიტმირის „ლოკომოტივის“ ტბილისელ ბურთი არ გაუტანიათ — ფრე. ორნეულში ადგილობრივი „ტრუდის“ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკი“. სპარტაკელებმა შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე თავი დააღწიეს დამარცხებას — 1:1.

დიდი სტარტი

იუგოსლავიაში დაიწყო მსოფლიოს მეექვსე პირველობის გათამაშება კალათბურთში ვეფთა გუნდებისათვის. წინასწარი შეხვედრები მიმდინარეობს სარაევოში, სპლიტსა და კარლოვიცში.

გაიმართა ქვეჯგუფების პირველი მატჩები. ურუგვაის კალათბურთელებს პაექრობა ჰქონდათ ირაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდთან და გაიმარჯვეს 90:73. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა მოუგეს კუბის გუნდს 74:53. ბრაზილიისა და სამხრეთ კორეის გუნდების მატჩის შედეგია 82:77 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა სძლია ავსტრალიის ნაკრებს 94:70.

სსრ კავშირის ნაკრები გუშინ ჩაება ბრძოლაში. მატჩი ურუგვაისა და საბჭოთა კალათბურთელებს შორის შედგა ვვიან ღამით.

ქრონიკა

რადიო

13 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06 35 — საორკესტრო ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — გ. ყანჩელი. სიმფონია, 11.45 — დარგომიჟსკი. ნაწყვეტები ოპერა „ალიდან“, 12.10 — რადიოჟურნალი „მაძიებელნი“ (მოსკოვი), 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ჩვენ 25 წლისა ვართ“ (მოსკოვი), 17.15 — სიმღერები თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული მოშაკრალთა ანსამბლის შესრულებით, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — ო. თაქთაქიშვილი, კამერული ნაწარმოებები, 18.45 — სიმღერები მ. ლუკაჩისა და ვ. მულერმანის შესრულებით. 19.15 — რუბინშტეინი. საორკესტრო პიესები „ვალსი — კაპრისი“ და „რუსული ტრეპაკი“, 19.45 — რ. კაკაბაძის კონცერტი, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — რ. შუმანი. საფორტეპიანო ციკლი „კრეისლერიანა“, 22.00 — ციკლიდან „შეთქმედებითი პორტრეტები“ — მ. თუმანიშვილი, 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

12 მაისი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „ყირაფი ფანჯარაში“, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — გადაცემა ბავშვებისათვის — „მსოფლიოს შვიდი საოცრება“, 18.40 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „მულტანორამა“, 20.10 — „მომმე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — მხატვრული ფილმი „20 წლისა ვარ“ (პირველი სერია), 22 00 — „ჩვენი სტუმრები“, სტუდიაში — უნგრელი პიანისტი დობოში, 22.30 — „კინოპროგრამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

12 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური—1. ჯამბაზები, 2. სოფლის პატიოსნება (30-ე აბონ. მე-10 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (გორის თეატრის წარმოდგენა) — მიდიოდნენ ჯარისკაცები ეფელტეხილზე, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დეკეზია № 16 (№ 8 და 21 აბონ. დილის 10 ს.), ძია ილიოზი (№ 49 აბონ. საღ. 6 ს.); თოჯინების ქართული — უცნაური მოგზაური (11 ს. 71-ე და 132-ე სკოლა, 1 ს. 132-ე სკოლა).

კინო

12 მაისი

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, ალეხინოვი (საზაფხულო), სპორტი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — დაუოკებელი მტკვარი; ბორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — კრემლის კურანტები; ყოლხიდა, ვარძია, ბათუმი, თბილისი — ზაფხულის პატარა რომანი; ამირანი (საზაფხულო) — პოემა ქვაში (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ალმა-ურნე, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — შუქი ჩვენს ფანჯრებში; საქართველო (მწვანე დარბაზი) — ტანია და ორი მემუშაკეტე; ისანი (საზაფხულო) — მოზარდები (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ხალამოს ექვსზე ომის შემდეგ. 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მხილება; თანამგზავრი — კომედიანტები (I, II სერია); ნაკადული — მაკედონური ქორწილი; ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — არ დაიდარდო (ქართული ვარიანტი); პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ქმრები მივლინებაში; კომკავშირელი — ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები (I, II სერია); ბორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ოქრო, ეკრანი — ცის ჭუხილი; ვაკის პარკი — ილაპარაკონ.

კომუნისტი



თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99-72 80, სამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 47 61, პროპაგანდის — 93 22 93. მრეწველობის — 93 20 34. სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18 70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხალხის — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93 16 90, სატირისა და ფელეტონის — 99 60 21 უცხოეთის — 93 95 97 წერილების — 99 73 24, ილუსტრაციის—93 28 54,



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03243

სტ. „კ“ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
Д. მჭედლიშვილი.